მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზებისა და ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მარნეული 17.04.2013 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვანო ბურნაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარე;

მალხაზ სამაშვილი -მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

დავით ხარშილაძე -ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ვუგარ მამედოვი -საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ნინო დეკანოიძე – იურიდიული სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი

დღის წესრიგი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზებისა და ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების **საკონკურსო განცხადება განთავსდა 10-04-2013 წელს 17:25 საათზე, საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადად მითითებული იყო 15.04.2013 წ. 13:00 სთ.**

აღნიშნული დროისათვის საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: შ.პ.ს. ,,არქმშენი" – 9 000 ლარი, შ.პ.ს. ,,ჯეო როუდ" – 7 440 ლარი.

საკონკურსო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ კონკურსში უმცირესი ფასი წარმოადგინა შ.პ.ს ,,ჯეო როუდიმ" შესაბამისად კომისია სრული შემდგენლობით თვლის, რომ სამართლებრივად შემსყიდველი ორგანიზაციის კუთვნილი სახსრების ხარჯვის რაციონალურობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს ამ უმცირესი ფასის მქონე კონკურსანტს იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – წარმოადგენს განახლებულ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან და დაამოწმებს ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით. ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შერჩევა/ანალიზის შედეგად თვალნათლივ ირკვევა, რომ საკონკურსო განცხადება გამოქვეყნებულია 2013 წლის 10 აპრილს 17 საათსა და 25 წუთზე, ხოლო პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადებულია 2013 წლის 10 აპრილს 11 საათის 28 წუთსა და 07 წამზე...ამდენად სჩანს, რომ საკონკურსო განცხადებასა და წარმოდგენილ ამონაწერს შორის თარიღობრივი შეუსაბამობა/წინსწრებაა...

საკონკურსო კომისიის მიერ დამტკიცებული საკონკურსო დოკუმენტაციის მე–7 პუნქტის სარეზიუმე ნაწილის პირდაპირი ციტირების თანახმად – ,,ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნული მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების დღიდან". რაც ამ შემთხვევაში არ არის პრეტენდენტის მიერ დაცული...აქვე, ამავე საკონკურსო დოკუმენტაციის მე–7 პუნქტის მიხედვით როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის დადგენილია მოთხოვნა, რის შესაბამისადაც – ,,პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს გასული 2012 წლის განმავლობაში მინიმუმ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცი(ებ)ის შედგენის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება (წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ანალოგიური მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ხელშეკრულებ(ებ)ის და მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით დამოწმებული ასლ(ებ)ი...რაც ასევე არ არის შესრულებული პრეტენდენტის მიერ, იმ მხრივ რომ სათანადოდ არ არის დამოწმებული წარმოდგენილი შესაბამისი ანალოგიური მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ხელშეკრულებებისა და მიღება–ჩაბარების აქტების ასლების სახით.

<u>კომისიამ იხელმძღვანელა, რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით", დაადგინა</u>

1. გაეგზავნოს შეტყობინება შ.პ.ს ,,ჯეო როუდ"–ს, რათა მოქმედი შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი განახლებული ამონაწერის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან წარმოდგენა და ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების სათანადო წესით დამოწმება.
2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატის წევრს ზანდა კვანჭიანს შეტყობინების წერილი და ოქმი ხელმოწერისთანავე დასკანერებული სახით გაუგზავნოს სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე ვანო ბურნაძე

კომისიის წევრები დავით ხარშილაძე

მალხაზ სამაშვილი

ვუგარ მამედოვი

ნინო დეკანოიძე